

საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ
2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი

დავის საგანი: მოსარჩელები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე ასაჩივრებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვა „ჭკუასუსტობის,” ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა”, 1290-ე მუხლის, 1293-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების: „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა” და 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებით. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების: „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა” და 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე” ქვეპუნქტის სიტყვების „ან ჭკუასუსტობის” კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების „ან სულით ავადმყოფობის”, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა”, 1290-ე მუხლის, 1293-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა”, 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის სიტყვების „და კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა”, 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე” ქვეპუნქტის სიტყვების „სულით ავადმყოფობის” კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის სიტყვის „ქმედუუნაროა” კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, 24-ე და 41-ე მუხლების პირველ პუნქტთან მიმართებით. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს

კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვის „ქმედუნარო“ და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების „ქმედუნარობის შემთხვევაში“ (2006 წლის 27 ივლისის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

გადაწყვეტილების დასაბუთება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარე სამყაროსთან.

სასამართლომ გამოყო სადავო ნორმათა ჯგუფები. პირველ რიგში განიხილა პირის ქმედუნაროდ აღიარებასა და მეურვეობასთან დაკავშირებული ნორმები, რადგან მათი საშუალებით იქმნებოდა სისტემურად დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებასა და პირის უფლებებში ჩარევის ერთიანი რეჟიმი. კერძოდ, განიხილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის, ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1290-ე მუხლის, 1293-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციური შინაარსის მნიშვნელობა. განიმარტა, რომ სადავო რეგულირების საფუძველზე პირი ფორმალურად განუსაზღვრელი ვადით ითვლება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ. მისი ნება ნაცვლდება მეურვის ნებით, რომელიც სამეურვეო პირის სახელით დებს ყველა აუცილებელ გარიგებას. კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით მსჯელობისას სასამართლომ შეაფასა, რამდენად თანაზომიერი იყო მზღლდავი საშუალება შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. განმარტა, რომ ზრუნვის მოტივით პირად ავტონომიაში ჩარევა დასაშვებია, თუ ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს. სასამართლომ დაადგინა, რომ დაცული უნდა იყოს სამართლებრივი რეგულირების მოქნილობის, ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების და დაცვითი ღონისძიების პირის ქმედუნარიანობის ხარისხთან თანაზომიერების პრინციპები. დაადგინა, რომ რეგულაცია, რომელიც უპირობოდ ყველა ტიპის, მათ შორის, მცირე მნიშვნელობის ყოფით სამოქალაქო გარიგებებზეც ვრცელდება, უფლებაში ჩარევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს. ნების ინდივიდუალური მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს ქმედუნარო პირების დახმარება გადაწყვეტილების მიღების საკითხში და არა ყველა სფეროში მათი ნების სრული ჩანაცვლება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები ზომიერად მეტად ზღუდავს შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა ქმედუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მომეტებულად ახდენს ქმედუნაროდ აღიარებულ პირთა ნების ჩანაცვლებას მეურვის ნებით.

მკურნალობის დაწყებისა და შეწყვეტის ნებაყოფლობითობაზე, ექიმისა და სამკურნალო დაწესებულების არჩევის თავისუფლებზე სასამართლომ განიხილა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი და ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით. სასამართლომ გაიმეორა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განკარგოს თავისი ფიზიკური თუ გონებრივი სფერო, იმისგან დამოუკიდებლად, მისი ასეთი გადაწყვეტილება იქნება დადებითი თუ უარყოფითი შედეგის მომტანი მისთვის. სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მკურნალობის პროცესის ოპტიმალური მართვა. განმარტა, რომ დაცვითი ღონისძიება ავტომატურად არ უნდა ართმევდეს შესაბამის პირს მისი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნებისმიერ ჩარევაზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლებას. სადავო ნორმების ბლანკეტური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ კონსტიტუციურ უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას ჰქონდა ადგილი და იყო არაკონსტიტუციური, რადგან არ ხდებოდა მკურნალობას დაქვემდებარებული პირების გრადაცია მათი გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხისა და ფორმის მიხედვით და პირის მონაწილეობა ან მისი ნების გათვალისწინება მისივე ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აბსოლუტურად და უპირობოდ გამოირიცხებოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 327-ე მუხლის მე-2 ნაწილებით დადგენილ პროცედურაზე, რითაც იზღუდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული უფლება დაცულია კონსტიტუციის 42-ე მუხლით და ამასთან ერთად სადავო ნორმა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ადადგინოს შეზღუდული უფლებები. შესაბამისად, არ ირღვევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ამდენად, აღნიშნული სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-16 მუხლს.

კონსტიტუციის 36-ე მუხლთან მიმართებით გასაჩივრებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც არ უშვებდა ქორწინებას იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჰკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. სასამართლომ განმარტა ქორწინების ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს პირთა შესაძლებლობას, სტატუსი შესძინონ მათ ურთიერთობას, დაამყარონ სამართლებრივად მზოჭავი კავშირი და მოიპოვონ მათი კავშირის სოციალური აღიარება. სასამართლომ განმარტა, რომ ქორწინება უკავშირდება გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს და ამსთანავე წარმოადგენს სოციალურ ინსტიტუტს. სასამართლომ შეაფასა როგორც მისი ნორმატიული კონტრუქცია, ასევე თანმდევი შედეგებიც და დაადგინა, რომ ხდება ისედაც მოწყვლადი ჯგუფების სტიგმატიზება. სასამართლომ აღიარა მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები - ქმედუუნარო პირის არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა და მისი ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფა. თუმცა დადგინა, რომ შეზღუდვა არათანაზომიერია, რადგან არსებობს ქმედუუნარო პირის ქონებრივი უფლებების ნაკლებად მზღუდავი

საშუალებით დაცვის ალტერნატიული შესაძლებლობა. ამასთან ერთად ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა კატეგორიას, შესაძლოა, ჰქონდეს უნარი შეიგნოს ქორწინების, როგორც სოციალური აქტის მნიშვნელობა, გაიაზროს ის პირადი და სოციალური შედეგები, რაც ქორწინებას ახლავს.

კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით სასამართლომ განიხილა იგივე მუხლები. გაიმეორა, რომ ნორმის მიზანია არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა და პირიქით. პირველ რიგში სასამართლომ დაადგინა, იყვნენ თუ არა შესაძარებელი პირები არსებითად თანასწორები. შესაბამისად, იმსჯელა ექცეოდნენ თუ არა შესაძარებელი ჯგუფები ამა თუ იმ შინაარსით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში ხვდებოდნენ და იყვნენ თუ არა არსებითად თანასწორები კონკრეტული ვითარების/სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით. პირები არსებითად თანასწორნი არიან, თუ მათ შორის არ არსებობს განსხვავება გადაწყვეტილების მიღების უნარის თვალსაზრისით. შესაბამისად, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები და სხვა სრულწლოვანი პირები, რომელთაც არ აქვთ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები, არიან თანასწორნი, ისევე როგორც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირები და პირები, რომლებიც ქმედუუნაროდ არ არიან აღიარებულნი, მაგრამ აღიარებისათვის საჭირო წინაპირობებს აკმაყოფილებენ.

პირველ შემთხვევაში ხდება დიფერენცირებული მოპყრობა, რადგან ქმედუუნარო პირებს, ქმედუუნარიანებისგან განსხვავებით, არ აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეიძინონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ხოლო მეორე შემთხვევაში დიფერენცირება სახეზე არაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ პირებს, რომელთა ქმედუუნაროდ აღიარება არ მომხდარა, შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიძინონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, განსხვავებით იმ პირებისაგან, რომლებიც ქმედუუნაროდ ცნო სასამართლომ, ნორმა თანაბრად მიემართება ყველა პირს, რომელთა მიმართაც არსებობს „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“ სამედიცინო დასკვნა. დიფერენცირებული მოპყრობის დადგენის შემდგომ, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა აღნიშნული მოწესრიგება თვითმიზნური და გაუმართლებელი. დაადგინა, რომ დიფერენცირება ხდებოდა კლასიკური ნიშნის საფუძველზე, რადგან ამ პირთა ჯგუფს ახასიათებს საერთო სოციალური ნიშანი, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობა, რომლის შეცვლაც არ არის დამოკიდებული თავად ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებზე და შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფებს. შესაბამისად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად გამოყენებული იქნა მკაცრი ტესტი და სახელმწიფოს დაუძლეველ ინტერესად თავად ამ პირებზე ზრუნვა და მისი ინტერესების დაცვა დასახელდა. იქიდან გამომდინარე, რომ შეუზღუდავი და შეზღუდული უნარების გამიჯვნა შესაძლებელია, იმის მტკიცება, რომ სადავო ნორმებით დადგენილი ჩარევის არსებობა წარმოადგენს დაუძლეველ საჯარო ინტერესს არაა დამაჯერებელია.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობისას დიფერენცირებულ მოპყრობაზე განიმარტა, რომ საკუთარი ქმედუუნარიანობის აღდგენის პროცედურაში

არ მონაწილეობს პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არ არის აღიარებული. ქმედუუნარიანი სრულწლოვანი პირებისა და სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირების მიმართ დიფერენცირებულ მოპყრობას აქვს ადგილი, რადგან რეგულაცია, დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილით არ მიემართებოდა ქმედუუნარიანებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით განიმარტა, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებსა და ქმედუუნარიან, სრულწლოვან პირებს შორის არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასებულიყო სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის კონტექსტში - დაქორწინების ნების გამოვლენის პროცესში. ქმედუუნაროდ აღიარების პროცესში არ მოწმდებოდა პირის სოციალური უნარები, გაეცნობიერებინა ქორწინების თანმდევი სოციალური, არაქონებრივი შედეგები, რაც არსებითი მნიშვნელობისაა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. ქორწინების უფლების რეალიზაციის კონტექსტში, ქმედუუნაროდ აღიარებული და ქმედუუნარიანი პირები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს ქმედუუნაროდ აღიარებული პირების შეუზღუდავი უნარების ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც მათ შეუძლიათ ქორწინების შედეგების გააზრება. სადავო ნორმა კი ბლანკეტურად გამოყოფს პირთა ამ ჯგუფს სხვა ქმედუუნარიანი პირებისაგან. სასამართლომ ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე გამოიყენა მკაცრი ტესტი. დაუძლეველ სახელმწიფო ინტერესად კი დასახელდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირების ქონებრივი უფლებებისა და არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა. სასამართლომ დადგინა, რომ უთანასწორო მოპყრობა უნდა წარმოადგენდეს დაუძლეველი საჯარო ინტერესისკენ ვიწროდ მიზანმიმართულ ღონისძიებას და არ უნდა იწვევდეს ქმედუუნაროდ აღიარებული პირების შეუზღუდავი გონებრივი უნარების იგნორირებას. რადგან არსებობს ამ მიზნის მიღწევის ნაკლებად მზღლუდავი საშუალება, შესაძლებელია, დაცული იქნას გონივრული ბალანსი ქმედუუნარო პირის ქორწინების უფლებასა და მისი ქონებრივი უფლებების დაცვის ინტერესს შორის, კომპეტენტური პირის მიერ თანხმობის დაწესებით.

კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 და 327-ე მუხლის მე-2 ნაწილებზე დაასკვნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სასამართლო ხელისუფლებას აკისრებს თვითნებობისგან დაცვის ინსტიტუციური გარანტის ფუნქციას. პირველ რიგში სასამართლომ იმსჯელა, ახდენს თუ არა სადავო ნორმები სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევას. დაადგინა, რომ ორივე სადავო ნორმას უფლებამზღლუდავი ეფექტი გააჩნდა და პირისთვის ქმედუუნარიანობის აღდგენის პროცედურის დამოუკიდებელი ინიცირების ან/და მასში პირადად მონაწილეობის შეზღუდვა ექვეოდა 42-ე მუხლით დაცულ სფეროში. განიმარტა, რომ კოგნიტური უნარის დაქვეითების გამო პირისათვის მეურვის დანიშვნა უპირობოდ არ გულისხმობს მის უუნარობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, მეურვეობის ქვეშ მყოფი პირისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და უფლება, მოსმენილი იყოს

სასამართლოს მიერ პირადად, ან საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ შერჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნად სასამართლომ არ აღიარა ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ინტერესების დაცვა, რადგან წამოწყებული სამართლებრივი პროცესი არ არის შეჯიბრებითი და პირს არ უწევს საკუთარი ინტერესების დაცვა სხვასთან პაექრობის ხარჯზე. აღნიშნული ნორმების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს სასამართლო სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების ინტერესები. რადგან ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არ გააჩნია ქმედუუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, იგი ხდება სრული მოცულობით დამოკიდებული დაინტერესებული პირების ნებაზე. შესაბამისად, არსებობს თვითნებობის საფრთხე. შესაბამისად, შეზღუდვა არის არათანაზომიერი.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, სასამართლომ პირველ რიგში განიხილა მისი შესაბამისობა კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით. დაადგინა, რომ ის უზრუნველყოფს არა ინფორმაციის პროაქტიულად მოპოვების უფლებას დაცული წყაროებიდან, არამედ იცავს ინდივიდებს ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლის დროს ნეგატიური ჩარევისგან, თუ ინფორმაცია საჯარო მნიშვნელობის არ არის და არარელევანტურია გამოხატვის თავისუფლებისათვის. პაციენტსა და ფსიქიატრიული დახმარების დაწესებულებას შორის ინფორმაციის მიმოცვლა წარმოადგენს ფსიქიატრიული დახმარების გაწევის კომპონენტს და არა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში სუბიექტებს შორის ინფორმაციის გავრცელებას. შესაბამისად, ნორმა შესაბამისობაშია კონსტიტუციის 24-ე მუხლთან.

იგივე ნორმა გასაჩივრებულ იქნა კონსტიტუციის 41-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც შეეხება მოქალაქის უფლებას კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სამკურნალო დაწესებულება, რომლის მიზანია ფსიქიატრიული დახმარების გაწევა, ვერ მიიჩნევა საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოდ, ნორმა ჩაითვლება კონსტიტუციურად.

სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ პირად მონაცემებზე წვდომის უფლება. ხოლო სადავო ნორმა წარმოადგენს ამ უფლებაში ჩარევას. სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა ქმედუუნარო პირების ინდივიდუალური გონებრივი უნარების შეფასების შესაძლებლობას და ბლანკეტურად ზღუდავდა მათ უფლებას, მიეღოთ ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ. შესაბამისად, სადავო ნორმა არ იყო ნაკლებად მზღუდავი.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციის მე-17 მუხლთან შედარებისას სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ექიმს ანიჭებს უფლებას, ცალკეულ შემთხვევაში შეზღუდოს სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის უფლებები, მათ შორის, უფლება, დაცული იყოს არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან.

სასამართლომ განმარტა, რომ მოპყრობა ჩაითვლება არაჰუმანურად, თუ ის განსაზღვრულ სიმძიმეს მიაღწევს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს სუბიექტის პიროვნული მახასიათებლები. განხორციელებული ქმედება არ უნდა სცილდებოდეს აუცილებელ მინიმალურ ფარგლებს. ასევე სასამართლომ გაიმეორა, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის შინაარსი არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის შესახებ აბსოლუტური უფლებაა და შესაბამისად, ნორმა, რომელიც უშვებს, რომ შეიზღუდოს სტაციონარში განთავსებული პაციენტის უფლება ჰუმანურ მოპყრობაზე, არის არაკონსტიტუციური.

იგივე მუხლის კონსტიტუციის მე-18 მუხთან კონსტიტუციურობის დადგენისას სასამართლომ განმარტა, რომ პირს იძულებითი მკურნალობის მიზნებისათვის თავისუფლება შესაძლებელია შეეზღუდოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სადავო ნორმა კი მოითხოვს მხოლოდ პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის თხოვნასა და ინფორმირებულ თანხმობას. სასამართლომ შეაფასა პირის ნების საწინააღმდეგოდ მისი ფიზიკური გადაადგილების უფლების შეზღუდვის ფაქტი, ხანგრძლივობა, სიხშირე, გარე სამყაროსთან კონტაქტი და ზედამხედველობის ინტენსივობა. სასამართლოს განმარტებით, ასეთი პირები შესაძლებელია იყვნენ მოწყვლადი მაშინაც კი, თუ მათ გააჩნიათ თანხმობის გაცხადების უნარი, თუმცა განსაკუთრებული რისკი არსებობს მათ მიმართ, ვისაც ასეთი უნარი არ გააჩნია. შესაბამისად, სახეზეა ჩარევა. როდესაც პირს წართმეული აქვს უნარი, სრულად ან ნაწილობრივ გააცნობიეროს მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის მნიშვნელობა და სამომავლო შედეგები, თავისუფლების უფლების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლი მნიშვნელოვანია. აღნიშნული მოწესრიგება შეიძლება ბოროტად იყოს გამოყენებული უფლებამოსილი პირების მიერ. თავისუფლების შეზღუდვა აუცილებლად ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, გარკვეული პირობების არსებობისას თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ 48 საათით. რადგან სადავო ნორმა უშვებს შეზღუდვას უფრო ხანგრძლივი დროით, იგი არაკონსტიტუციურია.

სასამართლო გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი მომზადებულია მარიამ ქვარიანის მიერ.